STATE MEDICAL UNIVERSITY TBILISI LEPL 211328703

დამტკიცებულია

სსიპ -თბილისის სახელმწიფო

სამედიცინო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის

24 იანვრის 23/1 დადგენილებით

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შესარჩევად შესაძლებელია ჩატარდეს გასაუბრება, რომლის ჩატარებასაც უზრუნველყოფს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში „კომისია“)

2. მუდმივმოქმედი კომისიის:

ა) მიზანია:

ა.ა) ვაკანტურ თანამდებობაზე პირის შერჩევა;

ა.ბ) დაკავებულ თანამდებობასთან პერსონალის შესაბამისობის შეფასება;

ა.გ) საკადრო რეზერვის შექმნა;

ა.დ) პერსონალის სამსახურებრივი დაწინაურების, წახალისების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა თსსუ-ის რექტორისათვის.

ბ) ფუნქციებია:

ბ.ა) პირის პროფესიული ცოდნის, ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შეფასება;

ბ.ბ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის კანდიდატის შესახებ დასკვნის წარდგენა.

3. ა) კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული ქვეკომისიები.

ბ) სპეციალიზებული ქვეკომისიის შემადგენლობის დაკომპლექტების შემთხვევაში მის ხელმძღვანელს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

4. ა) კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეგლამენტს

განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

ბ) კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

გ) კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

დ) კომისიის სხდომაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რაც აღინიშნება ოქმში.

5. დამხმარე პერსონალის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, თსსუ-ის ადმინისტრაცია აქვეყნებს განცხადებას ვაკანსიის შესახებ თსსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ა) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად მოთხოვნებს ადგენს კანდიდატების შერჩევის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.

ბ) კანდიდატთა შესარჩევად თსსუ-ის კადრების სამსახური უზრუნველყოფს ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის, კანდიდატების განცხადებების მიღებას, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, შედეგების გამოქვეყნებას.

6. კანდიდატმა კომისიის თავმჯდომარის სახელზე წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV);

ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში);

ე) ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

ვ) კონკრეტული ვაკანსიის თაობაზე განცხადებით განსაზღვრული სხვა დამატებითი დოკუმენტაცია;

კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის წესით, კანდიდატების დაუსწრებლად.

ზ) კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე შესარჩევ თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

თ) კანდიდატის შერჩევა ჩატარდება 2 ეტაპად:

თ.ა) განცხადებების გადარჩევა

თ.ბ) გასაუბრება

7. დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის, პროფესიული ჩვევებისა და პირადი თვისებების შეფასება შეიძლება როგორც წერილობითი ფორმით, ისე ზეპირი გასაუბრების (ინტერვიუს) გზით.

8. დამხმარე პერსონალის შესარჩევი მუდმივმოქმედი კომისია იქმნება თსსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. წინამდებარე წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.